მოხსენების/ნაშრომის შედგენისა და გაფორმების წესი

მინდვრები: 1 ინჩი ყველა მხრიდან, როგორც ზედა და ქვედა, ისე მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

ფონტი: Sylfaen (ქართულენოვანი ნაშრომის შემთხვევაში), ხოლო Times New Roman (ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში);

ზომა: 12.

სტრიქონებს შორის მანძილი: 1.0

გვერდების დანომრვა: გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს ქვედა მარჯვენა კუთხეში.

აბზაცი: აბზაცები უნდა იყოს გამოყოფილი 5 ინტერვალით.

ნაშრომის საბოლოო ვერსია უნდა შეიცავდეს: სატიტულო გვერდს, აბსტრაქტს, საკვანძო სიტყვებს, ძირითად ტექსტს, ცხრილებს (საჭიროებისამებრ), გამოყენებულ ლიტერატურას და დანართებს (საჭიროებისამებრ).

სატიტულო გვერდი უნდა შეიცავდეს ნაშრომის სათაურს, ავტორის/თანაავტორის სახელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ორგანიზაციის/დაწესებულების დასახელებას.

ნაშრომი უნდა მოიცავდეს 250-მდე სიტყვისგან შემდგარ აბსტრაქტს, რომელშიც ნათლად იქნება წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი, შედეგები და დასკვნები. სასურველია, ავტორმა წარმოადგინოს ხუთამდე საკვანძო სიტყვა.

გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიეთითოს APA-ს სტილის სახელმძღვანელოს მე-7 გამოცემის მიხედვით:

- სტატიას ვუთითებთ შემდეგნაირად: ავტორის გვარი, სახელის ინიციალი., მეორე ავტორის გვარი, სახელის ინიციალი., & მესამე ავტორის გვარი, სახელის ინიციალი. (წელი). სტატიის სათაური. პერიოდული გამოცემის სათაური, გამოცემის ნომერი, გვერდები.
- წიგნის შემთხვევაში ვუთითებთ: ავტორის გვარი, სახელის ინიციალი. (გამოცემის წელი). ნაშრომის სათაური. გამომცემელი.

ნაშრომი უნდა იყოს 3000-4000 სიტყვა, ყველა ელემენტის ჩათვლით (სატიტულო გვერდი, აბსტრაქტი, შენიშვნები, გამოყენებული ლიტერატურა, ცხრილები და ა.შ.).